

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი N 25

ხაშური

2018 წლის 07 დეკემბერი

12-00 სთ

სხდომის თავმჯდომარე ანა ხარებავა - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები: გურამ მაზიაშვილი, იმედა მეტრეველი, ჯონდო კაპანაძე, ნოვე
ტაბატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი მურმან
ცენგერაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ : ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი სერგო ლალიაშვილი. (მომხსენებელი საკითხზე)

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 5 წევრის დასწრებით

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)

1.ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2018
წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხს. სერგო ლალიაშვილი

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს სერგო ლალიაშვილის ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2018 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ.

აზრი გამოთქვას: ჯონდო კაპანაძემ, იმედა მეტრეველმა, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2018 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიღებული იქნეს ცნობად.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე

ანა ხარებავა

